

#3 დანართი

ტარიფები და გადახდის პირობები

1. ხელშეკრულების თარგლებში რეგისტრატორის მიერ ადმინისტრატორისთვის გადასახდელი თანხა განისაზღვრება დომენური სახელის ტიპით, რაოდენობით და მისი ღირებულებით ქვემოთ მოცემული ცხრილების შესაბამისად:

| დომენური სახელის ტიპი | დომენური სახელის რაოდენობა | ერთი დომენური სახელის 1 წლით რეგისტრაციის ღირებულება ლარში | ერთი დომენური სახელის 1 წლით რეგისტრაციის განახლების ღირებულება ლარში | სადეპოზიტო თანხა ლარში |
|-----------------------|----------------------------|--|---|------------------------|
| .ge | 1 | 28 | 28 | |
| com.ge | 1 | 10 | 10 | |
| edu.ge | 1 | 10 | 10 | |
| org.ge | 1 | 10 | 10 | |
| pvt.ge | 1 | 10 | 10 | |
| net.ge | 1 | 10 | 10 | |
| school.ge | 1 | 10 | 10 | |
| ორ სიმბოლოიანი | 1 | 800 | 800 | |

დომენური სახელის რეგისტრაციის და რეგისტრაციის განახლების ფასდაკლებები პორტფელის მიხედვით

| დომენური სახელის ტიპი | დომენური სახელის რაოდენობა პორტფელში* (ყველა ტიპის დომენური სახელის გათვალისწინებით) | ერთი დომენური სახელის 1 წლით რეგისტრაციის და განახლების ფასდაკლება ლარში |
|-----------------------------------|--|--|
| ყველა ტიპის გარდა ორ სიმბოლოიანის | <5000 | 0 |
| “_” | 5001-7500 | 2 |
| “_” | 7501-10000 | 3 |
| “_” | >10000 | 4 |

წინსწრებად დომენური სახელების შესყიდვის პაკეტის ღირებულება:

| დომენური სახელის ტიპი | დომენური სახელის რაოდენობა | პაკეტის სრული ღირებულება ლარში | პაკეტის ტრანშის რაოდენობა | თანხის გადახდის ვადა | პაკეტის მოქმედების ვადა** |
|-----------------------------|----------------------------|--------------------------------|---------------------------|----------------------|---------------------------|
| ყველა ტიპის დომენური სახელი | 5001 | 130026 | 6 | 12 თვე | 12 თვე |

ფასები მოცემულია დღგ-ს ჩათვლით.

* დომენური სახელის რაოდენობა მოიცავს, როგორც ახალ რეგისტრირებულ დომენურ სახელს, ასევე დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესების 5.4.6 მუხლით გათვალისწინებული რეგისტრატორის ცვლილების პროცედურის შესაბამისად რეგისტრატორისთვის გადაცემულ დომენურ სახელს.

** პაკეტის მოქმედების ვადის ამოწურვის თარიღისთვის შემდეგი ორი პირობის არსებობის შემთხვევაში: (i) რეგისტრატორმა ვერ შეძლო პაკეტში მოცემული რაოდენობის დომენური სახელის დარეგისტრირება და (ii) რეგისტრატორის მიერ ადმინისტრატორისთვის გადასახდელი ერთი დომენური სახელის რეგისტრაციის/ რეგისტრაციის განახლების საფასური პორტფელის მიხედვით აღემატება პაკეტით გათვალისწინებულ ერთი დომენური სახელი რეგისტრაციის საფასურს, რეგისტრატორი ვალდებულია ადმინისტრატორს გადაუხადოს ჯარიმა. ჯარიმის ოდენობა შეადგენს პორტფელის მიხედვით არსებულ ტარიფსა და პაკეტის შესაბამისად არსებულ ტარიფს შორის სხვაობას თითოეული, პაკეტის შესაბამისად რეგისტრირებული დომენური სახელისთვის. საჯარიმო თანხას ადმინისტრატორი გამოქვითავს რეგისტრატორის მიერ გადახდილი პაკეტის სრული ღირებულებიდან. რეგისტრატორის მიერ გადახდილი პაკეტის ღირებულების დარჩენილი ნაწილი ჩაითვლება სადეპოზიტო თანხად რეგისტრატორსა და ადმინისტრატორს შორის ანგარიშსწორების მიზნებისთვის.

საილუსტრაციო მაგალითი:

პაკეტის შეძენის შემთხვევაში, პაკეტის შეძენის მომენტიდან 12 თვის გასვლის შემდგომ, თუკი პაკეტის შემძენი რეგისტრატორის პორტფელში შემავალი დომენური სახელების რაოდენობა ჯამურად იქნება 5001 დომენურ სახელზე ნაკლები, მაშინ რეგისტრატორის მიერ რეგისტრირებული დომენური სახელების ღირებულება დაანგარიშდება 28 ლარიანი ტარიფით და თანხის სხვაობას ადმინისტრატორი ჯარიმის სახით გამოქვითავს რეგისტრატორის დეპოზიტიდან, ხოლო რეგისტრატორი პორტფელის მიხედვით განაგრძობს დეპოზიტზე არსებული თანხის ათვისებას.

2. რეგისტრატორი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებისთანავე განახორციელოს შესაბამისი სადეპოზიტო შენატანი ადმინისტრატორის ანგარიშზე.
3. ადმინისტრატორი რეგისტრატორის მიერ გადასახდელ თანხას გამოქვითავს რეგისტრატორის მიერ რეგისტრირებული დომენური სახელების რაოდენობის შესაბამისად სადეპოზიტო თანხიდან, ხოლო პაკეტის ყიდვის შემთხვევაში 1 პუნქტში მოცემული წესის შესაბამისად.
4. კალენდარული თვის დასრულებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში ადმინისტრატორი წარუდგენს რეგისტრატორს ანგარიშ-ფაქტურას ამ ხელშეკრულების ფარგლებში გასულ საანგარიშო თვეში სარეგისტრაციოდ გადაცემული დომენური სახელების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე ხორციელდება ანგარიშსწორება მხარეებს შორის მე-3 პუნქტის შესაბამისად.
5. რეგისტრატორი ვალდებულია შეავსოს სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსებული თანხა ამონურვისთანავე.
6. რეგისტრატორისათვის ამ ხელშეკრულების ფარგლებში მომსახურების განწევა ავტომატურად ჩერდება, თუ ამოიწურება რეგისტრატორის მიერ ადმინისტრატორის ანგარიშზე განთავსებული სადეპოზიტო თანხა. მომსახურების განწევა აღდგება შეჩერების მიზეზის აღმოფხვრის შემდეგ.

მხარეთა ხელმოწერები:

რეგისტრატორის სახელით

ადმინისტრატორის სახელით
